



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზურაბიშვილი სალომე ლევანის ასული



ს. ზურაბიშვილი

ზურაბიშვილი სალომე ლევანის ასული (დ. 18. III. 1952, პარიზი), დიპლომატი, იტალიის რესპუბლიკის ღირსების ორდენის კავალერი (1977), საფრანგეთის რესპუბლიკის ღირსების ეროვნული ორდენის ოფიცერი (1996) და საფრანგეთის რესპ. საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი (2004), საფრანგეთის პოლიტ. მეცნ. ინ-ტის პროფესორი (2006). 1973 დაამთავრა პარიზის პოლიტ. მეცნ. ინ-ტი, კოლუმბიის უნ-ტი (ნიუ-იორკი, 1973). 1974-იდან მუშაობდა სხვადასხვა დიპლ. თანამდებობებზე, როგორც საფრანგეთში, ასევე აშშ-ში, იტალიაში, ავსტრიაში, ჩადის რესპუბლიკაში, ბელგიაში.

იყო ეროვნ. თავდაცვის გენ. სამდივნოს საერთაშ. და სტრატეგიულ საკითხთა ხელმძღვანელი (პარიზი, 2001-03), საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში (2003-04), საქართველო საგარეო საქმეთა მინისტრი (2004-05), ზ. არის "სალომე ზურაბიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობის" (2005), ხოლო 2006-იდან – პოლიტ. გაერთიანება „საქართველოს გზის“ ლიდერი. 2018 წლის 28 ნოემბერს არჩეულ იქნა საქართველოს მე-5 პრეზიდენტად.

თბზ.: საქართველოსკენ, თბ., 2006; Que saisje: La Géorgie, P., 1986; Une femme pour deux pays, P., 2006;

frontières pour l'Europe, P., 2007; Les cicatrices des Nations, P., 2008.
